

ისევე „პიტა“!

როგორც იქნა მშვიდობიანად გადაკეთდა ფინიში საქართველოს ეროვნულმა ჩემპიონატმა კალათბურთში ვაჟთა გუნდებისათვის, სამრატუნდინ საფინალო შეჯიბრებაში „ვიტა“ სძლია „კაქტუსს“ (69:79; 78:61; 84:77). „ვიტა“ კვლავ შეინარჩუნა ჩემპიონის ტიტული. მესამე ადგილისთვის დავაში „დინამო“ ორივე შეხვედრა მოუგო „მერანს“ (87:70; 110:93).

განვლილმა ჩემპიონატმა, სამწუხაროდ, თავსატეხი ბევრი დაგვიტოვა, არაერთი კითხვა კონკრეტულ პასუხს მოითხოვს. უმთავრესი, ცხადია, ის გახლავთ, რომ ყველაფერს, რასაც ეროვნული ჰქვია, მოვეციდით ღრმა შეგნებით და პასუხისმგებლობით. სპორტის ნებისმიერ სახეობაში ეროვნულ ჩემპიონატს თავისი მაღალი დანიშნულება და ღირსება გააჩნია, რომლის შეღავათს უფლება არავის აქვს.

კალათბურთი, საბედნიეროდ, ხალხის საყვარელ სპორტის სახეობად დარჩა, ყველანი კარგად ჩაუფიქრდეთ, თუ როდენ საამაყო პატივია იმსახურებდეთ საყოველთაო სიყვარულს. ჩვენი სპორტის მესვეურები, თვით კალათბურთის ფედერაცია მოწოდებულა ამოიკრეოს ყველაფერი, რაზედაც ამდენი წყენა და უსიამოვნება აღმოცენდა დღეს უკვე ისტორიის კუთვნილებად ქცეულ ჩემპიონატში.

სწრაბი: საქართველოს 1995 წლის ჩემპიონი „ვიტა“ კალათბურთულ ვაჟთა გუნდი.

ალექსანდრე კობორაშვილის ფოტო.



ნატო ემბეგრამე გაიმარჯვა... ვაჟთა ტურნირში!

მსოფლიო ჩემპიონატში – მირანდა ხორაპა, ეპროკაში – პაპ ჯაპახიძე



თბილისის ქაღარაკის სასახლეში ერთდროულად მიმდინარეობდა მსოფლიოსა და ევროპის პირველობების შესარჩევი ტურნირები ქაბუკეთა (20 წლამდე) და გოგონათა (18 წლამდე) შორის.

დიდი ინტერესი გამოიწვია ქაბუკეთა შეჯიბრებამ, სადაც რესპუბლიკის ყველა უძლიერესი ახალგაზრდა მოჭადრაკე მონაწილეობდა (შვეიცარიული სისტემით, 9 ტურად); დებულების თანახმად პირველ ადგილზე გასული მსოფლიო პირველობაზე თამაშის უფლებას იღებდა, ხოლო მეორე ადგილზე გასული — ევროპის პირველობაზე მონაწილეობის უფლებას. ვაჟთა ტურნირში თამაშობდნენ გოგონებიც: 19 წლის საერთაშორისო ოსტატი ნატო ემბეგრამე და 16 წლის ფიდეს ოსტატი მიაა ლომინიშვილი.

შეჯიბრება მძაფრ ბრძოლაში მიმდინარეობდა, ლიდერობა ხელიდან ხელში გადადიოდა, პირველ და მეორე ადგილებზე მონაწილეთა დიდი ჯგუფი

აეხადებდა პრეტენზიას, საბოლოოდ ეს ადგილები 7-7 ქულით გაიყვეს ნატო ემბეგრამემ და ალექსანდრე ქაშაშვილმა. უკეთესი დამატებითი მაჩვენებლებით პირველი პრიზი და ქაბუკეთა მსოფლიო პირველობაზე გამოსვლის უფლება ნატო ემბეგრამეს მიენიჭა, რაც, ცხადია, მის დიდ მიღწევად უნდა მივიჩნიოთ. ამავე დროს, ამ შეჯიბრებაში მონაწილეობა ნატოსთვის კარგი წვრთნაც იყო ქალთა მსოფლიო პირველობის ზონალური ტურნირის წინ, რომელიც 15 მაისს იწყება ანკარაში. იგივე ითქმის მეორე ნიჭიერ გოგონა მიაა ლომინიშვილზეც.

რაც შეეხება გოგონათა შეჯიბრებას (18 წლამდე), აქ კარგად ითამაშა ოსტატმა მირანდა ხორაპამ, რომელიც ასევე მიემგზავრება ანკარაში. მან 9 შესაძლებლიდან 7,5 ქულით პირველი ადგილი დაიკავა და ამ ზაფხულში გოგონათა მსოფლიო ჩემპიონატში ითამაშებს. 7 ქულით მეორე ადგილზეა ეკა ჯავახიშვილი, რომელიც ევროპის პირველობაზე გაემგზავრება, ეს ამ ნიჭიერი გოგონას სერიოზული წარმატებაა.

სურათზე: ნატო ემბეგრამე.

მეორე მსოფლიო ომის პონაწილე სპორტსმენებს!

გულითა და სულით გილოცავთ ფაშინაშვილს გამარჯვების 50 წლის საიუბილეო თარიღს და გისურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას, დიდხანს სიცოცხლეს. ყველას გიკრავთ გულში. გფარავდეთ ღმერთი!

ღრმა პატივისცემით,

საქართველოს სპორტის დეპარტამენტი;

„შეგარდენის“ რესპუბლიკური საბჭო;

საქართველოს რესპუბლიკის სპორტის ვეტერანთა საბჭო.

ევროპის ჩემპიონატი ფეხბურთში

არღალეაბი ივნისაგდა

წინი 96 English



1 ივნისიდან განახლდება ფეხბურთში ევროპის 1996 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლი. დღევანდელი ნომრის მე-8 გვერდზე გულშემატკივრებს ვთავაზობთ მრავალ მიმონიშნულს, სადაც ასახულია მათთვის ნაკრები გუნდების მდგომარეობა მთავარ ფეხბურთში.

უფა: „ინტერტოტოს“ გაისაგდა დაცვით!

როგორც შეგიტყვეთ, უფამ „ინტერტოტოს“ თასის“ გათამაშებისათვის უკვე გაანაწილა ყველა, სამოცივე ვაკანტური ადგილი. ოთხი ქვეყნის საკლუბო გუნდები (აზერბაიჯანი, მაკედონია, საქართველო, სომხეთი) ამ ტურნირში ვერ იასპარეზებენ, ვინაიდან უფას სადამსჯელო ორგანომ „ტასკ ფორსმა“ ამ სახელმწიფოებს ადრე ნება დართო 1994/95 წლების ევროტურნირებზე გამოეყვანათ მხოლოდ თითო გუნდი. ეს გათამაშება კი (იგი 24 ივნისს დაიწყება) სწორედ ამ „საჩარიმო“ პერიოდს მიეკუთვნება.

იუგოსლავია, რომელიც 1992 წლის მაისიდან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სანქციებიდან გამოძინარე დისკვალიფიცირებული იყო ყველა ოფიციალური შეჯიბრებიდან, შეიწყალეს და დააბრუნეს ერთიან ევროპულ საფეხბურთო ოჯახში. „ინტერტოტოს“ ამ ქვეყნის ორი კლუბი გამოვა.

საბოლოოდ, 60 ვაკანტური ადგილი „ინტერტოტოს თასზე“ ასე განაწილდა: გერმანია, საფრანგეთი — 4 კლუბი; ავსტრია, ინგლისი, ბელგია, პორტუგალია — 3; ბულგარეთი, პოლანდია, საბერძნეთი, დანია, ისრაელი, პოლონეთი, რუმინეთი, თურქეთი, შვეიცარია, შვეიცია, იუგოსლავია — 2; ბელარუსი, უნგრეთი, ირლანდია, ისლანდია, კვიპროსი, ლიტვა, ლუქსემბურგი, მალტა, ნორვეგია, სლოვაკეთი, სლოვენია, უელსი, ფარერის კუნძულები, ფინეთი, ბორნეო, ჩეხეთი, შოტლანდია, ესტონეთი — თითო-თითო.

„ინტერტოტოს თასზე“ პირველ ოთხ ადგილზე გასული გუნდი ავტომატურად დიიშვება უფას თასის 1995/96 წლების გათამაშებაში.

P.S. უფას მიერ საქართველოს მიმართ მიღებული ეს გადაწყვეტილება პარადოქსულად გვეჩვენება და აი რატომ, ჯერ იყო და იანვრის თვის დასაწყისში საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას აცუობინებენ, რომ წელს პირველად უფას გვიდით ტარდება „ინტერტოტოს თასის“ გათამაშება და საქართველოდან განსაზღვრულია ამ შეჯიბრებაში არც მტეტი, არც ნაკლები, ოთხი გუნდის დაშვება. ამასთან, სფუ-ში აზღვანან ასპარეზობის დებულებას და შესასვლელ დოკუმენტაციას. იმავე თვეში გვატყობინებენ, რომ გუნდების სიმრავლის გამო ამ კვოტას ერთ გუნდამდე გვიმცირებენ. ახლა კი, იშველიებენ რა „ტასკ ფორსის“ შარზანდელ გადაწყვეტილებას, საერთოდ არ გაჯაკარეს „ინტერტოტოს თასს“.

თქვე კი დედამიწეველებო უფადან, თუ საჩარიმო პერიოდი ამ საზაფხულო შეჯიბრებასც ენებოდა, რაღაზე აჯავოორაქეთ ტყუილა? როგორც შეგიტყვეთ, ამ ფაქტთან დაკავშირებით უფა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას ოფიციალურად ბოდიშის მოხდასც უპირებს.

UEFA ევროპის საკლუბო ტურნირები

„პარა“ „იუვენტუსი“

3 მაისს ქ.პარმაში გაიმართა უფას თასის პირველი ფინალური შეხვედრა იტალიის ფეხბურთელთა გუნდებს „პარმასა და „იუვენტუსს“ შორის. თამაში დამთავრდა ანგარიშით 1-0 „პარმას“ სასარგებლოდ. ბურთი მეხუთე წუთზე გაიტანა დინო ბაჯომ. ამ გუნდების საპასუხო შეხვედრა ტურნირში შედგება 17 მაისს.

საქართველოს
პროფესიონალი
ჩემპიონატი
ფეხბურთში

პირველი
ჯგუფი
XXIV-XXV
ტურები

- „დურუჯი“ (ჯერაღი) — „დინამო“ (ბათუმი) 1-0
- „სამტრედია“ (სამტრედია) — „შეგარდენი-1906“ (თბილისი) 2-0
- „ტორპედო“ (ქუთაისი) — „გურია“ (ლაგოშვილი) 4-0
- „კოლხეთი-1913“ (ფოთი) — „მარჯეთი“ (წესტაფონი) 4-0
- „დინამო“ (თბილისი) — „დილა“ (გორი) 4-2
- „ახეთი“ (თელავი) — „ივერია“ (ხაშური) 0-0
- „სამგურალი“ (წვადტუბო) — „მეტალურგი“ (რუსთავი) 2-1
- „სამოცენვა“ (თერჯოლა) — „დინამო“ (ზუგდიდი) 0-1
- „სამოცენვა“ — „დურუჯი“ 0-0
- „მეტალურგი“ — „კახეთი“ 2-2
- „ივერია“ — „დინამო“ (თბ) 0-2
- „დილა“ — „კოლხეთი-1913“ 2-1
- „მარჯეთი“ — „ტორპედო“ 3-2
- „გურია“ — „სამტრედია“ 0-4
- „შეგარდენი-1906“ — „დინამო“ (ბთ) 1-1

